

ადევნება - ნოვაცია ქართულ სისხლის კანონმდებლობაში



მადონა ჭანტურია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.“

მადონა ჭანტურია

05.07.2021

## აბსტრაქტი

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში ახალ დანაშაულს რომელსაც ადევნება ეწოდება, ის არის ნოვაცია და „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის ერთგვარი გამოძახილი, არამარტო თანამედროვე ქართული სისხლის სამართლისთვის, არამედ მსოფლიოს მრავალი დემოკრატიული ქვეყნისთვის.

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს შემდეგი, რომ მკითხველმა სწორად აღიქვას თუ რას გულისხმობს ადევნება, როგორც ცალკე აღებული დანაშაული, ამისთვის განმარტებული და სიღრმისეულად წარმოჩენილი იქნება დანაშაულის შემადგენლობის თითოეული ასპექტი, ასევე პასუხი გაეცემა იმას თუ რისთვის დასჭირდა სახელმწიფოებს აღნიშნული ქმედება დანაშაულად ელიარებიანთ და სისხლის სამართლის კოდექსში მისთვის 151<sup>1</sup> მუხლის სახით, შესაბამისი ადგილი მიენიჭებიანთ, რატომ დადგა თანამედროვე ქვეყნები, განსაკუთრებით კი საქართველო აღნიშნული საჭიროების წინაშე.

აგრეთვე, მოცემული ნაშრომის მიზანია ის, რომ წარმოაჩინოს პრაქტიკაში არსებული პრობლემები, კონკრეტულად ის თუ რა ბუნდოვანებები არსებობს. ამასთან აქტუალურ პრობლემად არის დასახლებული ის რაც აშკარად და ცალსახად გამოიკვეთა თანამედროვე ქართულ სასამართლო პრაქტიკაში.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ნაშრომის სიღრმისეულად შესასწავლად, გამოყენებულ იქნა, არაერთი კონკრეტული სამეცნიერო კვლევის მეთოდი: ისტორიულ სამართლებრივი, შედარებით-სამართლებრივი და დოქტრინალური კვლევის მეთოდები.

იმისთვის რომ სრულყოფილი პასუხი გაცემოდა, იმას თუ რა წარმოადგენს ადევნების, როგორც ახალი დანაშაულის არსს, მის მნიშვნელობასა თუ აუცილებლობას თანამედროვე ქართული სისხლის სამართალისთვის, აღნიშნულისთვის შესწავლილი და წარმოდგენილი იქნა ნაშრომში არაერთი სამეცნიერო ლიტერატურა, ამასთან კონკრეტული კანონმდებლობის სიღრმისეული ანალიზი, ხოლო ადევნების როგორც ცალკე აღებული დანაშაულის, პრაქტიკულ ბუნდოვანებებთან მიმართებაში, რათა მომხდარიყო მათი სრულყოფილი წარმოჩენა, ნაშრომში წარმოდგენილი იქნა არაერთი სასამართლო გადაწყვეტილება.

აღნიშნული კვლევის შედეგად წარმოჩინდა შემდეგი, რომ ადევნებამ ასახვა ჰპოვა ქართულ სისხლის სამართლის კოდექსის 151<sup>1</sup> მუხლში, რაც ერთგვარად მნიშვნელოვანი ნოვაციაა, ის არის გამოძახილი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის ევროპის საბჭოს კონვენციისა, რომელიც ცნობილია სტამბოლის კონვენციის სახით, ამ უკანასკნელის საქართველოში ძალაში შესვლამ განაპირობა გარკვეული სისხლის სამართლებრივი ცვლილებების აუცილებლობა, შედეგად სტამბოლის კონვენციის 34-ე მუხლმა ადევნებამ, შესაბამისი სამართლებრივი ადგილი ჰპოვა ქართული სისხლის სამართლის კოდექსში.

წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება თეორიული ნაშრომის სტრუქტურას, აქედან გამომდინარე აღნიშნული კვლევის ფარგლებში განხილულია კონკრეტული სამეცნიერო ლიტერატურა, როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო კანონმდებლობა, აგრეთვე შესწავლილი და წარმოდგენილი იქნა კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილებები, შედეგად ნაშრომში სიღრმისეულად შესწავლილი და წარმოჩენილია დოკუმენტები, რაც მიზნად ისახავს შემდეგს, რომ მკითხველს ნათლად დაანახოს კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში არსებული ხარვეზები, რათა დასახულ იქნეს ამ რიგი პრობლემათა და გამოწვევათა მოგვარების საუკეთესო გზები.

საძიებო სიტყვები: ადევნება, მდევარი, მსხვერპლი, საფუძვლიანი შიში, ფსიქოლოგიური ტანჯვა, ცხოვრების წესის შეცვლა, ძალადობა.

## Abstract

The following master's thesis is dedicated to a new crime in modern Georgian criminal law called stalking. It is an innovation and a kind of echo of the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, not only for modern Georgian criminal justice, but also for many democratic countries of the world.

The aim of the present study is to enable the reader to correctly understand what is meant by stalking as a separate crime, for that each aspect of the composition of the crime will be explained and presented in depth, it will also answer why the states needed to recognize the act as a crime and give it a proper place in the criminal code under article 1511 , why modern countries, especially Georgia, have faced such need.

Also, the aim of this paper is to present the problems in practice, specifically what ambiguities exist. At the same time, a topical problem is what has been clearly and unequivocally revealed in modern Georgian court practice.

It should be mentioned that in order to study this paper in depth, a number of specific scientific research methods were used: historical legal, comparative-legal and doctrinal research methods.

In order to give a complete answer to what constitutes the essence of stalking as a new crime, its importance or necessity for modern Georgian criminal law, numerous scientific literatures have been studied and presented in this work for this purpose, as well as in-depth analysis of specific legislation, A number of court rulings have been presented in the study in relation to the practical ambiguities of stalking as a separate crime.

As a result of the mentioned research, it was revealed that the harassment was reflected in article 1511 of the Georgian criminal code, which is a kind of important innovation. of echo

of the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, better known as the Istanbul convention, the entry into force of the Convention in Georgia necessitated certain criminal changes. As a result, stalking in the article 34 of the Istanbul Convention has found a corresponding legal place in the Georgian criminal code.

The following study is based on the structure of the theoretical work, therefore in the framework of this study, specific scientific literature, both local and international legislation, are discussed, specific court decisions were also reviewed and presented, as a result, the paper examines and presents in-depth documents, the aim of which is to clearly show the reader the existing gaps in the legislation or practice, in order to lay out the best ways to solve these problems and challenges.

Key words: stalking, stalker, victim, reasonable fear, psychological pain, lifestyle change, violence.

## მადლობა

მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, გოგა ხატიაშვილს, გაწეული თანადგომისთვის და შრომისთვის, მთელი ამ დროის განმავლობაში, მიუხედავად მისი გადატვირთული გრაფიკისა, ის ყოველთვის იდგა ჩემ გვერდით, არ იშურებდა დროს და ენერგიას, მაძლევდა საჭირო რჩევებს და ობიექტურად აკრიტიკებდა ჩემს ნაშრომს. ბატონი გოგა თავისი მეგობრული და ამავდროულად საქმიანი დამოკიდებულებით, მაძლევდა მოტივაციას, რისთვისაც კიდევ ერთხელ გადავუხდი მას მადლობას. ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეგობარს და კოლეგას დიანა ბერიძეს, გაწეული თანადგომისთვის და დახმარებისთვის, მისი გვერდში დგომა და საჭირო რჩევები ძალიან მეხმარებოდა ნაშრომის ჩამოყალიბებაში და მიაღვილებდა მუშაობის პროცესს.